### 2022. უკრაინელი ბავშვების ჯანმრთელობის მონიტორინგზე ათეულობით პაციენტია

### 2022. MONITORING THE HEALTH OF UKRAINIAN CHILDREN









25.02.2023. მორიგი საქველმოქმედო აქცია ახალგორის მოსახლეობასთან. ცნობილი ექიმების მორიგი საქველმოქმედო აქცია გაისიჯა მოსახლეობა ვაჟა გაფრინდაშვილის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პროგრამ დირექტორის ვანიკო ცხომელიძისა და სხათა თაოსნობით. დიდი მადლობა ყველა საორგანიზაციო ჯგუფის წევრს. ქველმოქმედება გრძელდება.შემოგვიერთდით. P.S.აქციაზე ჩატარდა 245 კონსულტაცია პროფილებით - პედიატრია, ბავშვთა კარდიორევმატოლოგია, კარდიოლოგია, თერაპია, ოფთალმოლოგია, ნევროლოგია, გასტროენტეროლოგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია, ენდოკრინოლოგია და სხვ.





### „საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიისა“ და „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ ერთიანი აქციები (2024-2025 წ)





### JOINT ACTIONS OF THE “GEORGIAN ACADEMY OF HUMANITIES AND ARTS” AND THE “SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FUND” (2024-2025)

ერთობლივი აქციების შესახებ შინდისიდან და კარალეთითან პირდაპირი რეპორტაჟები აწარმოა „საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო დოქტორმა ბატონ ვანიკო ცხომელიძემ

The joint actions were reported live from Shindisi and Karaleti by Honorary Doctor of the “Georgian Academy of Humanities and Arts” Mr. Vaniko Tskhomelidze





*მე-5 გვერდიდან*

## ათასი ომი

მზე ლამანჩელის ჩაჩქანით თბება
და როსინანტით აგრძელებს რონინს,
ჭრილობა მაინც ჭრილობად რჩება
გინდა ათასი მოიგო ომი...
ხომ შეიძლება მზე შეკრთეს უცებ,
ჩვენთვის თბილი და ჩვენით ამაყი,
ნუ ამოვუთხრით ჩვენს კოხტა ქუჩებს
პატარა სანგრებს, როგორც სამარხებს...
მე ჩემს ბეღურას უბეში ვმალავ,
ასე მგონია ბორკილს ადებენ,
ნუ შევაშინებთ უწყინარ ქალაქს
პატარ პატარა ბარიკადებით...
მზე ლამანჩელის ჩაჩქანით თბება
და როსინანტით აგრძელებს რონინს,
ჭრილობა მაინც ჭრილობად რჩება
გინდა ათასი მოიგო ომი...

## THOUSANDS OF WAR

The sun warmed with Don Quixote’s helmet
Keeps riding the Rocinante horse,
Wound is never gone, it’s always there,
Even you win thousand wars...
What if the sun shuddered suddenly?
Sun warmed for us, and full of pride,
We trench around our lovely streets,
With tombs, as if digging our own graves.
I hide my sparrows deep in my bosom,
Not to be hobbled or put into irons,
Don’t scare much our harmless city
With barricades here and there.
The sun heated with Don Quixote’s helmet
Keeps riding the Rosnante horse
Wound is never gone, it’s always there,
Even you win thousand wars.

## გაზაფხულის მონოლოგი

ბეღურამ თბილი ფრთებით მატარა,
ჩემთვის ითმინა ყინვაც, გრიგალიც,
ამიტომ იყო ასე პატარა,
ასე სუსტი და ასე მიმქრალი.
მიფრთხილდებოდა, როგორც ავგაროზს
და როცა საზრდოც აღარ ებადა,
გულში დამინთო ციცქნა სამყარო
და ულალატო სისხლით მკვებავდა.
ზღაპრულ კუნძულზე ვის არ სმენია,
მასაც ეძახდა თბილი ქალაქი,
მაგრამ ბეღურას ის ურჩევნია,
სიცივით მოკვდეს ვიდრე ღალატით.
სიკვდილიც ბევრჯერ შემოეფეთა,
ბევრჯერ აფრინდა ძერა მდელოდან,
მაგრამ ბეღურა იდგა კედელთან
და ჩემსკენ ნასროლ ტყვიას ელოდა.
და, როცა სიკვდილს გამოვეპარე,
სამყარო იყო ისე დაღლილი,
რომ შიშით ყვავილს ამოვეფარე
ყველა ყვავილზე სუსტი ყვავილი...

## SPRING MONOLOGUE

A sparrow sheltered me under its wing,
Endured frost and storm,
That’s why he looked so shabby and pallid,
So woeful and small.
He cherished me like a fetish,
Put at a sacrifice what he could,
Then lit a tiny world in my heart,
And fed with own life blood.
The fairy island was too attracting,
And a warm city called him for fun and joy,
But sparrow better froze to death,
Than be unfaithful, and betray.
It used to run against death,
A black kite would take off the meadow,
Sparrow would stand against the wall,
And meet my share of a bullet shot.
And when I slipped away from death,
The world was so outworn,
I took a shelter under the flower,
Me, the weakest flower in the flower world.

## ახლა მარტია

ახლა მარტია, ისე ვფიქრობ, თითქოს
დავბერდი
და სარკმელიდან სიყმაწვილის სურათს
შევყურებ,
მოვა აპრილიც, პეშვს გაივსებს მწვანე
საკენკით
და ყოველ დილით დააპურებს ერთგულ
ბეღურებს.
ახლა მარტია, დამიჯერე ჯერ არ ნახულა,
ჩემი სარკმელი ასე ლურჯი,ასე ციმციმა,
ნეტა ვიცოდე, ასე ჩუმად ამ გაზაფხულმა,
რომელ ბუდეში, რომელ ტოტზე გამოიძინა?
ახლა მარტია და მაკლიხარ ერთი ყვავილით,
ერთი ნუგეშით, ერთი ცრემლით, ერთი
ტკივილით,
შენ ყოველ დილით ჩემს სარკმელთან ისე
ჩაივლი,
რომ უმალ ლექსი ამაწყდება გულზე
ღილივით...

## IT’S MARCH

It’s March. I think I am getting older,
I see youth from the open door. April will come
with a handful of lure,
Feed the faithful sparrows at dawn.
It’s March.
Believe, my window has never been that blue,
that shiny,
I wish I knew, where, in which tree
Spring nested so quietly.
It’s March.
I miss you - the only flower,
The only tear, comfort, and pain,
You pass by my window every morning,
And like a button tear a poem off from my
broken heart.

## ძაღლი გრანიტი

სოფელს დარაჯობს ძაღლი „გრანიტი”,
ენით ილოკავს თათებს ქონიანს
და სახურავის ყველა კრამიტი,
სახლის მშიერი ენა ჰგონია...
რა დაკვირვება სცოდნიათ ძაღლებს,
ასე მკვირცხლებს და ასე მამაცებს,
მოვა წვიმა და გაბუტულ სახლებს
კრამიტის ენით ალაპარაკებს!

## DOG GRANITE

Granite, a stray dog, is a village guard,
Links anxiously its greasy paw,
Believes, that every roof-tile
Is a hungry tongue of the old house.
Dog might me a big observer,
Brave, smart, and swift,
When rain starts all offended houses
Speak tile-language with Granite.

## შობის ღამეა

ამ დღეს ბავშვივით ველი და ვღელავ,
იმედის ნერგი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვარსკვლავი ყველა
სოფლის გომურებს უჭირავთ ხელში...
დააქვს ბალთაზარს მხრებით ოცნება,
გადმოსავლელი ზღვა და მთებია,
ისე შეიკრეს სუნთქვა ბოსლებმაც,
თითქოს სასწაულს ელოდებიან...
სხვანაირია მწყემსების ზეცაც,
ლოდინისაგან გზაც კი მოკლდება,
არ შეგეშინდეთ, დღეს ყველა დედას,
მუცელში ჩვილი გაუტოკდება...
ამ დღეს ბავშვივით ველი და ვღელავ,
იმედის ნერგი ცოცხლდება ჩემშიც,
შობის ღამეა, ვა

## ხერხემლის ჯვარი

უფალი კითხვებს კითხვებზე მაყრის,
პილატემ რკინის კარი გახურა
ჯვარზე დავცინი ორეულს დაღლილს,
ჩემი ხერხემლის კარიკატურას...

ჩემს სულსაც ახდის სიცოცხლე ყავარს,
ფლიდი ღიმილი, მზერა მზაკვრული,
და ქრისტეს მგმობელ ავაზაკს ვგავარ,
ხერხემლის მძიმე ჯვარზე გაკრული.

ვერ გავექეცი მდევარს ცელიანს,
სუდარას ქსოვენ ტანისამოსად,
შეუძლებელზე უფრო ძნელია,
ხერხემლის ჯვრიდან თავი ჩამოხსნა...

ვტოვებთ ნაბიჯებს, ბგერებს და ფრაზებს,
თავებს ვიმშვიდებთ სხვათა ძაგებით,
წუთით გაკრულნი ხერხემლის ძვალზე,
ქრისტეს მგმობელი ავაზაკები...

უფალი კითხვებს კითხვებზე მაყრის,
პილატემ რკინის კარი გახურა
ჯვარზე. დავცინი ორეულს დაღლილს,
ჩემი ხერხემლის კარიკატურას...

## ავტოპორტრეტი

კვლავ გაბედული გადის დამკაში,
როლზე უარი – სოლო გედური!
და მორიდებით დგახარ ამქარში,
ყველაზე არაფოტოგენური...

ცდილობ ცხოვრება გაიმარტივო,
ველარ ატარებ ღიმილს გრიმივით,
და კვლავ საკუთარ ლექსში მარტვილობ,
ამოუცნობი პილიგრიმივით!

კვლავ მოდაშია ჯინსი მონტანის,
თითქოს ცხოვრება დაგიხარისხეს,
გავხარ მეცნიერს ქარის მოტანილს,
რომელსაც ისევ ქარი წაიღებს...

კვლავ გაბედული გადის დამკაში,
როლზე უარი – სოლო გედური!
და მორიდებით დგახარ ამქარში,
ყველაზე არაფოტოგენური...

## ფიროსმანი და მარტი

ვებრძვი თებერვლის გლოვას,
უამინდობას ვითმენ,
კვლავ გაზაფხული მოვა,
ნუშებს შეაყრის რითმებს...

ფიროსმანს გავხარ, მარტო!
ხატავ პატარძალს მოვლილს,
და ნუშის ხეებს ათბობ
მეტაფორების თოვლით...

## მარადიული ექო

სიზმარში ვარ თუ ცხადში,
იქნება მითხრათ ვინმემ,
ბოროტმოქმედის დამლით
დუმილის ტკივილს ვითმენ...

მე – დამნაშავის ასლი,
ვუახლოვდები ბექობს,
დამდევს ჩაქუჩის მკაცრი,
მარადიული ექო...

კალამს ვეყრდნობი დღემდე,
მაღალი ვჩანვარ რითაც,
ხის ძელზე ვაწყობ მტევნებს,
ლურსმანს ლურსმანთან ვრითმავ...

სიზმარში ვარ თუ ცხადში,
იქნება მითხრათ ვინმემ,
ბოროტმოქმედის დამლით
დუმილის ტკივილს ვითმენ

## შენ

შენ სამუდამოდ კარი ჩარაზე,
და გზად დატოვე მარტო რიფები,
უმისამართოდ ვგზავნი ბარათებს,
ანაგრამული ალგორითმებით...

ფურცლებზე ვტოვებ მელნის ნარჩენებს,
ტრაგედიებით, ძველი დრამებით
და მარტოობის დილეგს ვაშენებ,
ალგორითმული ანაგრამებით...

## აპრილი

ქუჩებს სავსე აქვთ ჯიბე ლადარით,
ნუში ყვავილით ხიბლავს ტაიჭებს,
პალიტრას მალავს ყველა მხატვარი,
როცა აპრილი ფუნჯებს დაიჭერს...

ეს თვე ვერ იტანს კოცნას მოზომილს,
ო, რა ქალია – მიწვევს წამი-წამ,
და ისე ღვივის ვნების კოცონი,
ლამის ლექსი და გული დამიწვას...

ველურ სიყვარულს ყოფნის ცოტა რამ,
სულ არ სჭირდება ფარჩა-საბანი,
გინდ უსირცხვილო ჩიტმა – კოდალამ
ფულურო შესძრას მორზეს ანბანით....

ქუჩებს სავსე აქვთ ჯიბე ლადარით,
ნუში ყვავილით ხიბლავს ტაიჭებს,
პალიტრას მალავს ყველა მხატვარი,
როცა აპრილი ფუნჯებს დაიჭერს..

## აზდაკი და თემიდა

რომ გადაფაროს ჟამი ღალატის...
რომ შეუშვიროს მკერდი სიცივეს,
დღე მაღალ მთებში მზის მუზარადით
დონ-კიხოტივით გამოიღვიძებს...

ნარიყალიდან თავს რომ გვევლება,
მართლა ციხეა, მართლა მეხია,
თუ დონკიხოტის გასამხნევებლად
დევზე შემდგარა ნაცარქექია?!

კვლავ სანჩო პანსას მაკრთობს ასაკი,
ისევ ბრეხტს ვირჩევ ძველი თემიდან,
საქართველოში მოკლეს აზდაკი
და მწარე ცრემლით ტირის თემიდა...

დიდო მსაჯულო, ღმერთი გფარავდეს,
დედამიწაა – შენი წრეწირი,
„დრო ხან მეფეა” და ხან ჯალათი,
და მედროვეა მისი ვეზირი,

რომ გადაფაროს ჟამი ღალატის...
რომ შეუშვიროს მკერდი სიცივეს,
დღე მაღალ მთებში მზის მუზარადით
დონ-კიხოტივით გამოიღვიძებს...

## „საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიისა” და „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის” ერთიანი აქციები (2026 წ.)

## JOINT ACTIONS OF THE “GEORGIAN ACADEMY OF HUMANITIES AND ARTS” AND THE “SOCIAL PEDIATRICS PROTECTION FUND” (2026)







აჭარაში
2026 წ.
იანვარი





კარალეთი
2026
თებერვალი

გურიის სოფელი ბაილეთი. 31.03.26











# 2026 წელს პროფესორ იოსებ კვაჭაძეს 100 წელი შეუსრულდებოდა

**გავიხსენოთ ბატონი იოსების ბიოგრაფია:**

კვაჭაძე იოსებ მახარობლის ძე (31. X. 1926, სოფ. ლესა, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, – 8. VII. 1993, თბილისი), პედიატრი. კლინიკური გენეტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში. მედ. მეცნ. დოქტორი (1970), პროფესორი (1971), საქართვ. მეცნ. დამს. მოღვაწე (1984).

1946 დაამთავრა თსსი; 1965-71 თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის პედიატრიის კათედრის დოცენტია. 1972-იდან განაგებდა თსსი-ის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრას. კ. შეისწავლიდა პედიატრიის ბიოქიმიურ, მორფოლოგიურ და იმუნო-გენეტიკურ საკითხებს, შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაზიანებით მიმდინარე დაავადებათა ეტიოპათოგენეზს. ბავშვის ორგანიზმში აღმოაჩინა პარაზიტი ტოქსოპლაზმა, შექმნა ნივთიერებათა ცვლის კონსტიტუციურ მოშლილობათა და რევმატიული ჯგუფის დაავადებათა კვლევის ახალი მიმართულება, შეისწავლა ნაწლავთა შეწოვის ფუნქციის დარღვევით მიმდინარე დაავადებები – მუკოვისციდოზი, ცელიაკია, ექსუდაციური ენტეროპათია, დისაქრიდული უკმარისობა; იმუნოდეფიციტის სინდრომით მიმდინარე პათოლოგიები; რევმატიზმი და სხვ.

კ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. 10 მონოგრაფიის, 2 სახელმძღვანელოს, 11 მეთოდ. რეკომენდაციის ავტორი.

1988-იდან იყო საქართვ. პედიატრთა საზ-ბის, ხოლო 1986-იდან – საქართვ. რევმატოლოგთა საზ-ბის ბავშვთა სექციის თავ-რე. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

**თხზ.:** თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზი, თბ., 1968; ზოგიერთი თანდაყოლილი და მემკვიდრეობითი დაავადება ბავშვებში, თბ., 1983; ენდოკარდიუმის ფიბროელასტოზი ბავშვებში, თბ., 1989; მუკოვისციდოზი ბავშვთა ასაკში, თბ., 1990; ბავშვთა დაავადებები, ტ. 1, თბ., 1990.

## გამოსათხოვარი

# პროფესორ იოსებ კვაჭაძის გახსენება

დიდ ქართველ მამულიშვილს, აწ უკვე მარადისობაში დამკვიდრებულს, ბატონ იოსებ კვაჭაძეს დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდა. როგორც ამბობენ კაცთაშორის აღმატებულნი არ კვდებიან, ისინი უბრალოდ ვალმოხდილნი წუთისოფლიდან საუკუნო სასუფეველში გადადიან, რათა კაცობრიობის სამსახურში იყვნენ ყოველთვის. ადამიანის უკვდავების აზრიც ესაა, რომ მილიონებს შორის იბადებიან გამორჩეულნი, ვისი ღვაწლითაც დედამიწაზე პროგრესი ხორციელდება. ღრმად მწამს, რომ ბატონი იოსებ კვაჭაძე სწორედ ასეთი პიროვნება იყო და მისი სული ახლა აქ ჩვენს გვერდითაა. მე თავს მდაბლად ვხრი ბატონი იოსების სპეტაკი სახელისა და ნათელი მოგონებების წინაშე და მადლობას მოვახსენებ ჩემზე გაწეული დიდი ღვაწლისათვის.

მე და ჩემი მეგობრები, მერი წულაია, მარინე ჩიქოვანი, გია ნატრიაშვილი და სხვები სტუდენტურ აუდიტორიაში მისი პირველი მსმენელები ვიყავით. მას შემდეგ თითქმის ხუთი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ის ცეცხლი, რომელიც მაშინ ბაქოს ქუჩაზე იმ პატარა დარბაზში მყოფთა გულებში აგიზგიზდა დღესაც გვათბობს ჩვენი სპეციალობის სიყვარულით. როცა ვიკრიბებით, აღელვებით ვიხსენებთ თუ როგორ შემოიჭრა მაშინ მეტეორივით კაშკაშა სხივი ჩვენს ახალგაზრდულ აზროვნებაში. ეს იყო არასტანდარტული საბჭოთა აზროვნება. არაჩვეულებრივად ამაღლებული, უახლეს მეცნიერულ მიღწევათა საფუძველზე გააზრებული, ზოგადსაკაცობრიო და ამავე დროს ღრმად ეროვნული შინაარსის გამოსვლა. ეს იყო ყველაზე საუკეთესო იმ ლექციათაგან, რომლებიც ჩვენ კორიფეთაგან განებივრებულებს მოგვისმენია. ქალბატონი მერი წულაია ხშირად იხსენებს ხოლმე, ამ გამოსვლის შემდეგ სტუდენტები ამბობდნენ, რომ ბატონი იოსები მოსკოვიდან ჩამობრძანდა და მოსკოვის სკოლის გავლენით იყო ლექცია ასე ბრწყინვალეო. ჩემო სულმნათო მასწავლებელო, გვაპატიე ეს შეცდომა, ბატონი კონსტანტინე აკი მიუთითებს ჩვენს ამგვარ ნაკლზე, რომ ქართველები ყოველთვის საუკეთესოს უცხოსა და საუცხოოს უწოდებენ. სინამდვილეში კი ის ლექცია და მთელი შემდგომი მოღვაწეობა ჩემი დიდი მასწავლებლისა იყო ქართული თვითმყოფადი სულის ტრიუმფი.

ბატონი იოსებ კვაჭაძე ადამიანებს ანცვიფრებდა თავისი მოღვაწეობის უნივერსალური მრავალფეროვნებით. როდესაც ვაანალიზებ მის განვლილ რთულ და საინტერესო გზას, უნებურად მახსენდება გურამ რჩეულიშვილის უკვდავი ფრაზა „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში", ამიტომ იყო იგი დაუცხრომელი ნოვატორი, შრომა და შემართება, სიძნელეებთან გაბედული და დაუღალავი ჭიდილი, აი მისი პიროვნების სავიზიტო ბარათი. იგი იყო თავგანწირული შემოქმედი, მაღალი რანგის მოაზროვნე, მისი გამოჩენა საზოგადოების ჩვეულებრივ ბანალურ საქმესაც ზეიმად აქცევდა, ხოლო შემოვლები, ლექციები, სამეცნიერო კონფერენციები იყო ტრიუმფალური.

მისი თვალსაწიერის მიღმა არ დარჩენილა თავისი დროის პედიატრიის არცერთი აქტუალური პრობლემა.

როდესაც ჩემი სადისერტაციო ნაშრომის გამო მოსკოვში ვმუშაობდი, მახსენდება როგორი ღრმა პატივისცემით საუბრობდნენ მის შესახებ მისი რუსი კოლეგები: პროფ. სერგეი რაჩინსკი, ვლადიმერ ტატოჩენკო, ველტიშევი, სტუდენიკინი, ანანენკო, სანკტ-პეტერბურგში იგორ ვორონცოვი და სხვები.

ბატონი იოსები ჩვენთვის, მისი მოწაფეებისთვის, მხოლოდ პედიატრიის მასწავლებელი კი არ იყო, არამედ ცხოვრების გზამკვლევიც. ის ჩვენთან ერთად შეხაროდა ჩვენს გამარჯვებას და გვამხნევებდა დამარცხებისა თუ მწუხარების ჟამს. იგი გვასწავლიდა სიკეთეს, გვიზიარებდა თავის ცხოვრებისეულ და პროფესიულ გამოცდილებას, გვასწავლიდა მეცნიერული მწვერვალების დაპყრობას. მისთვის არ არსებობდა მეცნიერული დილემა. მიუხედავად საბჭოთა კლინიკის მწირი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობებისა, მოითხოვდა, რომ ჩვენი შრომები ყოფილიყო ისეთი ულტრათანამედროვე კვლევის მეთოდებზე დამყარებული, როგორც მსოფლიოს ელიტარულ სამედიცინო ცენტრებში სრულდებოდა. მისი ენთუზიაზმი ჩვენც სტიმულს გვაძლევდა და დავქროდით სინჯარებით და ჰისტოლოგიური პრეპარატებით თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადის თუ სხვა წამყვან კლინიკებში. მახსოვს მუკოვისციდოზის პრობლემაზე მაშინ დავიწყეთ მუშაობა როდესაც საბჭოთა კავშირში პირველად გაიჟღერა ამ ტერმინმა. სამედიცინო საზოგადოება სკეპტიკურად შეხვდა ამ ფაქტს, რადგან თვლიდნენ რომ ეს ფუჭი ძიება იყო. მეც ჩემ სისუსტეს ვაღიარებ, როგორ მემძიმებოდა ეს ტვირთი, რამდენჯერ მითხოვია თემის შეცვლა, მაგრამ უშედეგოდ. მას არ სჩვეოდა უკან დახევა და ჩვენგანაც ამას მოითხოვდა. და როგორ გამომადგა ეს თვისება ცხოვრებაში.

ბატონ იოსებს ჰქონდა ღვთითბოძებული ნიჭი მოყვასის სიყვარულისა. ღმერთი ხომ თვითონ სიყვარულია და სწორედ ამ თვისებით გამოარჩია უფალმა ქართველი კაცი ყველა სხვათაგან. მას უყვარდა თავისი შესანიშნავი ოჯახი – მეუღლე ქალბატონი ნანული, მშვენიერი შვილები – ზაზა, ქეთევანი, ლელა, შვილიშვილები, სიძეები, რომლებიც არაჩვეულებრივი სტუმართმოყვარეობით გვეგებებოდნენ ყოველთვის. უყვარდა თავისი სამშობლო, ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული კულტურა. უყვარდა სტუდენტები, მეგობრები, პაციენტები, თანამშრომლები. პატივს მიაგებდა ქართულ ტრადიციებს, სიყვარულით იგონებდა თავის მშობლებს, მასწავლებლებს პედიატრიის კორიფეებს ი. რცხილაძეს, თოხაძეს, მ. ბოკერიას და სხვებს.

მახსოვს როგორი დიდი სიყვარულით ზრუნავდა ქალბატონ ქრისტინე ქუთელიაზე.

იტვირთეთ ერთმანეთის ჯვარი, – გვასწავლის უფალი, და თუმცა იმ ეპოქაში ათეისტური სული ზეობდა, ჩემი დიდი მასწავლებელი თავისი მოღვაწეობით იყო ჭეშმარიტი მართლმადიდებელი. მოყვასისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ყველა წინააღმდეგობას გადალახავდა და ჭირში ვაჟკაცურად დაუდგებოდა მხარში. მას ისე ბუნებრივად მიჰქონდა სხვისი ჯვარი, რომ გვიკვირდა ასე ლაღად ამას როგორ ახერხებდა.

მე მახსენდება მისი განუყრელი მეგობრის, აწ გარდაცვლილი ღვაწლმოსილი ადამიანის ბატონი თამაზ მარინაშვილის მოგონება. როდესაც ხევსურეთში მიდიოდნენ მძიმე ავადმყოფის საშველად, უმძიმესმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა მას ამ განზრახვაზე ხელი ვერ აღებინა.

ნისლებში იკარგებოდა გზა, რომელიც პიტალო კლდეებს შორის მიიკლაკნებოდა. იყო მეწყერები და თავზე ხელის აღებას ჰგავდა ეს მგზავრობა.

მაინც წავიდნენ. მოულოდნელად რაღაც ძალამ შეაჩერა ავტომობილი. როდესაც დაბნეული მგზავრები მანქანიდან გადმოვიდნენ მიზეზის დასადგენად, მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. – მანქანა ქარაფის პირას იდგა! გზა უძირო უფსკრულში ინთქმებოდა. მძიმე შთაბეჭდილებამ განზრახვაზე ხელი ვერ აღებინა, სხვა გზით ავიდნენ ბარისახოში. ჩვენ მხოლოდ წლების შემდეგ გავიგეთ ამის შესახებ.

მისთვის მოყვასისათვის თავგანწირვა იყო სულიერი მოთხოვნილება და ქართული ხასიათისა და გენის გამოვლინება, რომელიც ამკობდა ცოტნე დადიანს, ჟორდანიას, გრიგოლ ფერაძეს, გურამ რჩეულიშვილს და სხვებსა და სხვებს.., და ვინ იცის მომავალში კიდევ ვის სულში გამოვლინდება.

იოსებ კვაჭაძე იყო უვერცხლო მკურნალი, მას ღია კარის დღეზე გამოკვლეული ჰყავდა 10 000-ზე მეტი პაციენტი.

ჩემი დიდი მასწავლებელი მუდამ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთმანეთშ უთავსებდა მეცნიერებასა და საექიმო პრაქტიკას, სპორტისა და ხელოვნების სიყვარულს, ქართული სუფრის თავკაცობას და პოეზიის საღამოს ლიდერობას. ის ყველგან წინა ხაზზე იდგა და დიდი ლხინისა და ჭირის უფალი იყო. საკუთარი თავისადმი დაუნდობელი და მკაცრად მომთხოვნი, სხვისი სისუსტეების შემწყნარებელი და მიმტევებელი.

მე მახსოვს ჩემი მასწავლებლის ოლიმპიური სიმშვიდე დიდი შემოქმედებითი გამარჯვებებისას და იგავმიუწვდომელი თავშეკავება უდიდესი პირადი ტრაგედიისას, როცა ჯოჯოხეთის ცეცხლი ტრიალებდა მის სულში ერთადერთი ვაჟის სიცოცხლის გაფურჩქვნის წლებში ამ სოფლიდან გასვლის გამო.

ჩვენს გვერდით დადიოდა ადამიანი, რომელსაც ქვეყნის ჭირ-ვარამი მსუბუქად დაჰქონდა საკუთარი მხრებით. ჩემს სისუსტეს ვაღიარებ, რომ ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა ჩემს გვერდით ბუმბერაზის არსებობა. ახლა, როცა წლები გავიდა, სინანული მიპყრობს, რატომ არ ჩავიწერე ყველა ლექცია, ყველა გამოსვლა...

ბატონმა იოსებ კვაჭაძემ დატოვა ექიმთა თაობები, რომლებიც აგრძელებენ მის დაწყებულ საქმეს. მის დიდ ოჯახში სიცოცხლე სიკვდილზე გამარჯვებას ზეიმობს. მამის პროფესიულ გზას აგრძელებენ შვილები: ქეთევანი და ლელა, შვილიშვილები.

პოეტს დავესესხები და ვიტყვი: „...და აღასრულა მან თვისი ვალი...". მის მხრებზე იდგა მეოცე საუკუნის საქართველოს ბალავარი.

სასუფეველი დაუმკვიდროს უფალმა იოსებ კვაჭაძეს.

მისი ლოცვ შეეწიოს სრულიად საქართველოსა და მის ოჯახს.

**მადლიერებით და მოწიწებით,**
**ბატონი იოსების მოწაფე,**

*მედიცინის დოქტორი:*
***ნელი გადრიაშვილი***

# პროფესორი იოსებ კვაჭაძე – უნიკალური ადამიანი

30 წელზე მეტია, რაც პროფესორი იოსებ კვაჭაზე (ბატონი სოსო, როგორც ვეძახდით) ჩვენთან არ არის, მაგრამ დღესაც მისი კოლეგები და მოწაფეები სითბოთი, სიყვარულით და სევდით ვიხსენებთ მას. იგი არასდროს დაგვავიწყდება.

ბატონი სოსო მართლაც უნიკალური და მისაბაძი ადამიანი იყო: სანიმუშო პედაგოგი, ფართო დიაპაზონის ექიმი და მეცნიერი-მკვლევარი. იგი სამაგალითო იყო თავისი შრომისმოყვარეობითა და შრომისუნარით, საქმისათვის თავდადებით, მოყვასისადმი სიყვარულით. იგი სიახლის მაძიებელი და ნამდვილი გზამკვლევი იყო იმ დროს, როცა ასე ჭირდა ინფორმაციის მოპოვება და ხანგრძლივად გვიწევდა მუშაობა ბიბლიოთეკაში თუ სადისერტაციო დარბაზში. მან ჭეშმარიტად წინ გაუსწრო დროს, ეძებდა და შენც სტიმულს გაძლევდა, რათა გეძებნა და გეპოვა. ამის ნაყოფი იყო ის, რომ მან საქართველოში პირველმა აღწერა 80-ზე მეტი დაავადება და სინდრომი, საფუძველი ჩაუყარა რევმატული ჯგუფის, ნივთიერებათა ცვლის მემკვიდრეობითი დარღვევით მიმდინარე დაავადებათა, თანდაყოლილ ინფექციათა კომპლექსურ შესწავლას ბავშვთა ასაკში. შექმნა უნიკალური ფოტოთეკა.

მიუხედავად ყველაფრისა, ბატონ სოსოსთვის მაინც პირველ ადგილზე იდგა სტუდენტი. იგი იყო არაჩვეულებრივი ნოვატორი. მან პირველმა შემოიტანა მე-6 კურსის (სუბორდინატორი) – პედიატრებისთვის პროფილური სწავლება, რადგან თვლიდა, რომ დამამთავრებელი კურსის სტუდენტს პედიატრიაში ძირითადი, ბაზისური ცოდნა წინა კურსებზე უკვე ჰქონდა დაგროვილი და ესაჭიროებოდა ცალკეული კლინიკური დარგების უფრო ღრმა შესწავლა. რექტორატმა ბატონ სოსოს ამ საქმეში მხარი დაუჭირა (ასე მოვხვდი 1977 წლის ბოლოს მე, ჰემატოლოგიაში ასპირანტურაგავლილი, ასისტენტად ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრაზე, რომლის გამგეც პროფესორი იოსებ კვაჭაძე ბრძანდებოდა). ასეთმა მიდგომამ გაამართლა. ახლაც, როცა მხვდებიან იმდროინდელი სტუდენტები, იხსენებენ, თუ როგორ გამოადგათ თავის საექიმო საქმიანობაში იმ პერიოდში მიღებული თეორიული ცოდნა, თუ პრაქტიკული გამოცდილება. ყოველკვირეული სტუდენტთა და ექიმთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, რომლებსაც ბატონი სოსო არასოდეს აცდენდა – არჩვეულებრივი ინფორმაციული ღირებულების მატარებელი იყო. „ცეცხლი დავანთოთ" – ამბობდა ბატონი სო-

გაგრძელება მე-14 გვ.

მე-13 გვერდიდან

# პროფესორი იოსებ კვაჭაძე – უნიკალური ადამიანი

სო და ბავშვივით ხარობდა, როცა სტუდენტი კარგად ფლობდა თემას და დამაჯერებლად პასუხობდა კითხვებს.

ბატონ იოსებს არაჩვეულებრივად ჰქონდა განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და ჩვენც, კათედრის თანამშრომლებს, იგივეს გვთხოვდა. ბევრს ახსოვს ალბათ, რომ ნებისმიერ კონფერენციას, კრებასა თუ პედიატრთა საზოგადოების სხდომას ესწრებოდა მთელი ჩვენი კათერდა, თავისი ასპირანტებით, კლინიკური ორდინატორებით, ინტერნებით, სტუდენტებით. თუ რაიმე მიზეზის გამო მსგავსი ღონისძიების გაცდენა გვიწევდა, სიცოცხლეს ვათავებდით, სანამ გათავისუფლებას ვთხოვდით. ბევრს ახსოვს საკავშირო ჟურნალ „პედიატრიის" ყოველწლიური გარჩევები. პროფილის მიხედვით თანამშრომლები ინაწილებდნენ ჟურნალის ცალკეულ თავებს და რეცენზირებას უკეთებდნენ სტატიებს. მე ამ სხდომების უცვლელი მდივანი ვიყავი, ვწერდი გარჩევის ოქმს და ვაგზავნიდი მოსკოვში, ჟურნალის რედაქციაში. როგორ ხარობდა ბატონი სოსო, როცა შემდეგი წლის ჟურნალის ერთ-ერთ პირველ ნომერში მას ამისთვის პერსონალურ მადლობას უხდიდნენ რედაქტორის სახელით (მაშინ რედაქტორი ცნობილი პედიატრი პროფ. ნ.კისლიაკი იყო).

ბატონ სოსოს ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა პაციენტს. კათედრის მუშაობის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენდა კლინიკის განყოფილებებში ავადმყოფთა შემოვლა. ეს იყო ნამდვილი სკოლა არა მარტო სტუდენტებისთვის, არამედ კათედრის და კლინიკის თანამშრომლებისთვისაც. ბატონი სოსო 10-15 დაავადებასთან ისე გაატარებდა დიფ. დიაგნოზს, რომ გაოცებას ვერ ვმალავდით. რა დასამალია, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, ბევრ ჩვენგანს არაერთხელ უნატრია მისი გამჭრიახი გონება, დიდი საექიმო ინტუიცია და გამოცდილება მძიმე და რთული ავადმყოფის საწოლთან. მან არაჩვეულებრივი მოსმენა იცოდა. ყოველთვის ითვალისწინებდა სხვის აზრს. განსაკუთრებით ხარობდა, როდესაც ოპონენტი სტუდენტი, ინტერნი ან ახალგაზრდა ექიმი იყო.

ბატონ სოსოს რბილი ხასიათის ჰქონდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ზოგიერთ საკითხში ის შეუვალი იყო. მაგალითად, არ გვპატიობდა სამსახურში დაგვიანებას (უმძიმეს 90-იან წლებშიც). სამუშაო კვირა 6 დღიანი იყო, ეს იყო ლექციები, პრაქტიკული მეცადინეობები, შემოვლები და მისი „გვირგვინი" შაბათის კათედრის სხდომა დღის ბოლოს, რომელიც 4-5 საათამდე გრძელდებოდა. თანამშრომლები ვთხოვდით ბატონ სოსოს სხდომის დღის შეცვალას, მაგრამ ამაოდ. თვითონ კვირასაც მუშაობდა და თითქოს ჩქარობდა ყველაფრის მოსწრებას. დღევანდელი გადმოსახედიდან ახლა ვფიქრობ, რომ ეს იყო კიდევ ერთი ხერხი კათედრის წევრების დაახლოვებისა. ჩვენი კათედრა ერთი დიდი ოჯახი იყო. ერთმანეთის სიხარულს და ჭირ-ვარამს ვიზიარებდით, ვიკრიბებოდით მიზეზით თუ უმიზეზოდ და ამ დიდი ოჯახის თავში – ბატონი იოსები იდგა. მან არაჩვეულებრივად იცოდა გვერდში დგომა, როცა პრობლემა ან გასაჭირო გვქონდა. იგი ყველა ჩვენი სუფრის უზადო თამადა იყო. არაჩვეულებრივად განათლებული, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე, ლიტერატურის დიდი მოყვარული.

მას კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო, ჰქონდა დიდი პოტენციალი, მაგრამ არ დასცალდა. მახსოვს საავადმყოფოში მივედი სანახავად, არ იყო კარგად, არ მომეწონა, საწოლზე ქაღალდები ჰქონდა გაშლილი. მონოგრაფიის „ბავშვთა დაავადებები", თავებს ალაგებდა (სამწუხაროდ ვერ მოესწრო მის გამოსვლას), დახმარება შევთავაზე, მაგრამ უარი მითხრა – მე თვითონო. ამის შემდეგ მისი ჯანმრთელობა ძლიერ შეირყა. მართალია, გამოვიდა სამსახურში, თითქოს ცდილობდა დაბრუნებოდა ჩვეულ რითმს, მაგრამ ეტყობოდა, რომ მიღებულმა ფსიქოლოგიურმა ტრავმამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ამ ამაგდარ ადამიანს და წააქცია ბერმუხა...

მონოგრაფიაში „ბავშვთა დაავადებები" ბატონ იოსებს მოჰყავს დიდი მწერლისა და ექიმის ა.ჩეხოვის სიტყვები: „ექიმის პროფესია – გმირობაა. იგი მოითხოვს თავდადებას, სულის სიწმინდესა და ნათელ აზროვნებას". ჭეშმარიტად ამ თვისებების მატარებელი იყო პროფესორი იოსებ კვაჭაძე.

***მარინე კვეზერელი-კოპაძე***
*მედიცინის აკადემიური დოქტორი, დოცენტი;*

*თსსუ გ.ჟვანიას სახ. პედიატრიის საუნივერსიტეტო კლინიკა*

# ღვაწლი, რომელიც რჩება



ადამიანის არსებობის თავისებურება ის გახლავთ, რომ სიცოცხლის ფიზიოლოგიურ დასასრულს ყოველთვის არ მოსდევს უშუალო გაქრობა შრომითი თუ სულიერი,კულტურული თუ შემოქმედებითი ფასეულობებისა, რომელიც პიროვნებამ თავისი შესაძლებლობითა და ნიჭიერებით შექმნა ცხოვრების მანძილზე. სიკვდილი სიცოცხლის ფილოსოფიური აღქმა აუცილებელია ძვირფას ადამიანთან განშორებისას.

ჩემი, როგორც მისი მოწაფის და კოლეგებისათვის ზემოთთქმული ერთგვარი ნუგეშია, ვინაიდან ბ-ნი იოსების ფიზიკური წასვლა ქვეყნიდან არასდროს ყოფილა მისი მეცნიერული მოქალაქეობრივი და უმაგალითო ზნეობრივი სიცოცხლის დასასრული.

ბ-ნი ოისები თანამედროვედ მოაზროვნე, პროგრესული მუდამ ახლოს მაძიებელი იყო. ათეული წლებით უსწრებდა წინ მოვლენებს. აღნიშნულის მაგალითია მონოგრაფიები, სწორედ აქ თვალნათლივ ჩანს მისი მრავალმხრივი ინტერესი და კვლევები სხვადასხვა პათოლოგიებთან მიმართებაში: (მალაბსორბციული სინდრომი, ცისტოფიბროზი, ტუბულოპათიები, თანდაყოლილი იმუნური უკმარისობები, რევმატიული ჯგუფების პათოლოგიები, ბავშვთა ტუბერკულოზის მიმდინარეობის თავისებურებები და ა.შ) ჩამოთვლილი პრობლემები დღესაც მნიშვნელოვანი კვლევის ობიექტია.

დაუვიწყარია მისი კლინიკური შემოვლები, სადაც განსაცვიფრებელ კლინიკური აზროვნების მაგალითებს აძლევდა ახალგაზრდა ექიმებს,რეზიდენტებს, სტუდენტებს და არა მარტო მათ. აღსანიშნავია, მისი ლექციები რომელიც ყოველთვის უხვად იყო დატვირთული უახლესი ლიტერატურული მონაცემების ღრმა ანალიზით და უნარით, პაციენტების საწოლთან გადმოეტანა მოპოვებული ინფორმაცია. სწორედ ეს სინთეზი ქმნიდა მის მაღალ პროფესიულ უნიკალობას.

კლინიკის გარე გარემოშიც ასევე საინტერესო პიროვნება იყო – შესანიშნავად უძღვებოდა ქართულ სუფრას, მშვენივრად მღეროდა. იცნობდა ქართულ პოეზიას და პროზას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქართველ მეცნიერებათა ნამოღვაწევებს. ამჟღავნებდა დიდ პატივისცემას წინა თაობების ქართველი პედიატრების და მისი მასწავლებლების მიმართ. რა თქმა უნდა, მეტად დასანანია რომ იგი წავიდა და მრავალი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

შვილის ტრაგედიამ დიდი დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას, ხშირად იმეორებდა გალაკტიონის ლექსიდან ცნობილ სიტყვებს „სიკვდილის გზა არ რა არის ვარდისფერ გზის გარდა" ამ ფილოსოფიით,ვფიქრობ, მცირედით მაინც იმსუბუქებდა დარდს...

ბატონმა იოსებდა მოგვცა პროფესიული პატრიოტიზმის მაგალით, ემპათიისა პაციენტების და სხვათა მიმართ. სწორედ მისი პიროვნებას ესადაგება სიტყვები „ჩვენ რომ დასასრული გვგონია ის შეიძლება დასაწყისი იყო".

***მარინა ჩიქოვანი***
*მედიცინის დოქტორი, დოცენტი.*

# რაც ხსოვნამ შემოინახა...

პროფესორ იოსებ კვაჭაძეს წელს 100 წელი შეუსრულდებოდა. მით უფრო სასიამოვნოა, მისი მოგონება და პატივის მიგება. პროფესორი ი. კვაჭაძე თავისი საქმის ფასდაუდებელი დიდოსტატი იყო, რომელიც რუდუნებით ჭედდა ქართული პედიატრიის წარმატებებს. მინდა მოვიგონო პროფესორი ი. კვაჭაძე არა მხოლოდ, როგორც ზედმიწევნით ერუდირებული, თეორიულად განსწავლული, განუმეორებელი პრაქტიკოსი მკურნალი, არამედ მეცნიერი, რომელსაც ქონდა სიახლის ძიების დაუოკებელი ჟინი და დამაჯერებლად უსწრებდა მეცნიერების განვითარების იმდროინდელ დონეს, ეს კი დრომ გამოცადა და დაადასტურა. მას ჰქონდა გასაოცარი უნარი დაესვა კითხვები და ესწავლებინა სად და როგორ გვეძებნა პასუხები.

მის ინტერესთა სფეროში შედიოდა ბავშვთა სნეულებების მრავალი დარგი, თუმცა მე როგორც რევმატოლოგი, შევეცდები ბავშვთა რევმატოლოგიაში მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ჩატარებულ კვლევებს შევეხო. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის წამყვან კლინიკებში, ჯერ კიდევ გარკვეული რიდითა და სიფრთხილით ლაპარაკობდნენ გენეტიკური განწყობისა და იმუნური პასუხის თავისებურებებზე და როლზე ბავშვებში რევმატიული დაავადებების დროს, მან ერთერთმა პირველთაგანმა, საქართველოში, გახსნა კლინიკური იმუნოგენეტიკის ლაბორატორია, სადაც შეისწავლებოდა რუბონუკლეინის მჟავა დაავადების გენეზში ვირუსის სავარაუდო როლის განსაზღვრის მიზნით(მედიცინის დოქტორი ირინა ადამაშვილი) აქვე შეისწავლებოდა ადამიანის ლეიკოციტარული ანტიგენები რევმატიული დაავადებების დროს ბავშვებში (მედიცინის დოქტორი ნელი თოფურიძე)

80-იან წლებში თბილისში პროფესორ სერგო კობალაძის ძალისხმევით, ჩატარდა იმ დროისათვის სრულიად არაორდინალური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ უცხოეული, კერძოდ, ბრიტანელი და არა მხოლოდ ბრიტანელი მეცნიერები და საბჭოთა კავშირის წამყვანი რევმატოლოგები. კონფერენციაზე, პროფესორ ი. კვაჭაძის ხელმძღვანელობითა და ჩემი მონაწილეობით, გაკეთდა მოხსენება, რა დროსაც გამოითქვა მოსაზრება, რომ რევმატიულ დაავადებათა დროს ბავშვები, განსხვავებით მოზრდილებისგან, შედარებით უკეთ იტანენ და ემორჩილებიან ე.წ დიდი იმუნოსუპრესორებით (ციკლოფოსფამიდი, აზატიოპრინი) მკურნალობას. ამ მოსაზრებამ კონფერენციის მონაწილეებში დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა შემთხვევებით დადასტურებულ მოსაზრებაში, ეჭვის შეტანა ვერავინ კადრა პროფესორ კვაჭაძეს. ეს მოსაზრება დრომ გამოცადა და დაადასტურა.

პროფესორ ი. კვაჭაძის ხელმძღვანელობით, შეისწავლებოდა ბავშვთა რევმატიულ დაავადებათა გავრცელება თბილისში. ჩატარდა კოლოსალური სამუშაო, თუმცა, სამწუხაროდ, შრომა ვერ დამთავრდა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო.

გენეტიკურ კვლევაში მონაწილეობდა ცნობილი ნეონატოლოგი, მედიცინის დოქტორი, დარეჯან საყვარელიძე. იგი შეისწავლიდა დერმატოგლიფიკის, თავისებურებებს რევმატიული დაავადებების დროს ბავშვებში,.პროფ კვაჭაძის ხელმძღვანელობით შეისწავლებოდათ-იმუნორეგულაციური ლიმფოციტების მდგომარეობა რევმატოიდული ართრიტის დროს ბავშვებში რამაც ასახვა პოვა ჩემს საკანდიდატო დისერტაციაში. გარდა ამისა კათედრის იმუნოგენეტიკურ ლაბორატორიაში შეისწავლებოდა ვირუსების სავარაუდო როლი რევმატიული დაავადებების დროს ბავშვებში, რასაც მიეძღვნა კათედრის ახალგაზრდა ასისტენტის, ქეთევან კვაჭაძის საკანდიდატო დისერტაცია.

პროფესორ ინტერესთა სფეროში შედიოდა რევმატიულ დაავადებათა დროს შინაგან ორგანოთა და სისტემების დაზიანებების თავისებურებები ბავშვებში. სისტემური წითელი მგლურისა და რევმატოიდული ართრიტის დროს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანებას, დროული პრევენციისა და რეაბილიტაციის მნიშვნელობას სწავლობდაპროფესორ ი. კვაჭაძის საყვარელი მოსწავლე პროფესორი გ.ჩახუნაშვილი(საკანდიდატო დისერტაციის თემა – „რევმატოიდური ართრიტის სხვადასხვა ფორმების დროს ბავშვებში გულ-სისხლძარღვთა სისტემის კლინიკო-ინსტრუმენტული დახასიათება", დაიცვა 1988 წელს; სადოქტორო დისერტაციის თემა – „გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების რისკ-ფაქტორები რევმატოიდური ართრიტისა და სისტემური წითელი მგლურას დროს ბავშვთა ასაკში; კლინიკო-ინსტრუმენტული (ექოკარდიოგრაფიული) ნაადრევი გამოვლინებანი – პროგნოზირება, პროფილაქტიკა და რეაბილიტაციის საკითხები", დაიცვა 1992 წელს.). სხვადასხვა რევმატიულ დაავადებების დროს, პერიფერიულ სისხლში ცვლილებებს წარმატებით შეისწავლიდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მარინა კვეზერელი, ხოლო მიოკარდიტებს ადრეული ასაკის ბავშვებში პროფესორ კვაჭაძის პირველი ასპირანტი პროფესორი ნუგზარ უბერი

ულრმესი პატივისცემითა და მოწიწებით მინდა გავიხსენო კათედრაზე მიმდინარე კვლევების სულის ჩამდგმელნი დოცენტები, მედიცინის დოქტორები: ბ-ნი ირაკლი ციციშვილი და ქ-ნი ქრისტინე ქუთელია; ქ-ნი თამარ წერეთელი და ქ-ნი ეთერ ონიაშვილი.

ბოლოს, მინდა როგორც მისმა მოსწავლემ და თანამშრომელმა, შეძლებისდაგვარად გავაანალიზო ბ-ნი იოსების მოღვაწეობის პერიოდი ჩვენი კათედრის და კლინიკის ცხოვრებაში, რამაც ნათელი ფურცელი დატოვა ქართული პედიატრიის ისტორიაში.

სწორედ აქ, ავადმყოფთა კლინიკური გარჩევებისა და გარკვეული არტისტიზმით წაკითხულ ლექციებზე, იკვეთებოდა სიახლეები; მისთვის უცხო იყო დოგმა.ე.წ. დიდ კლინიკურ შემოვლებზე მას უყ-

→

ვარდა იმპროვიზაცია, ყველა კონკრეტულ შემთხვევაში აანალიზებდა ათეულობით მსგავს დაავადებას, რის შედეგადაც მივყავდით ერთ კონკრეტულ დიაგნოზამდე. ეს გზა იყო ცოდნისა და გამოცდილების დიდი გაკვეთილი. გასაოცარი იყო ის თანადგომა, სითბო და სიყვარული, რაც პროფ. კვაჭაძეს,კათედრის და კლინიკის თანამშრომლებს შორის არსებობდა; განსაკუთრებული მეგობრობა და ურთიერთგაგებააკავშირებ- და განყოფილების გამგე თ.ჩელაშვილთან და არა მხოლოდ მასთან.

შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ეს მოგონებები ზედმეტად გაზვიადებულია, თუმცა ეს რეალობაა. მიუხედავად ყველაფრისა პროფ. კვაჭაძე მომთხოვნი და საკმაორ მკაცრი ხელმძღვანელი იყო. იგი თანამშრომლებისგან ითხოვდა თავდაუზოგავ შრომას და თავდადებას, თუმცა ჩვენ ვიყავით უზომოთ ბედნიერები და უსაზღვროდ მადლიერები. იგი ყოველთვის ჩვენს გვერდით იყო ჭირსა და ლხინში.

ამბობენ, ადამიანის ნაღვაწი, როგორღაც შინაგანად ნივთდებდა და უხილავ ჯილდოდ იქცევა. ამ ჯილდოს ადამიანთა სიყვარული ჰქვია, რაც უხვად ერგო პროფ. კვაჭაძეს.

*პატივისცემით,*
*მედიცინის დოქტორი*
***ნუნუ შელია***
*თბილისი, 2026 წელი*

# მოგონება ჩემს პროფესორზე

იოსებ კვაჭაძე პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის გამგე (1971-1993 წლებში), გამორჩეული მედიკოსი, მოამაგე, მოღვაწე ქველი და კიდევ ბევრი სხვა თანამდებობისა და წოდების მატარებელი, ამაგდარი ღვაწლმოსილი. პირველ რიგში პიროვნება და ექიმი ინოვაციური და მასშტაბური ხედვით.

მე პროფესორის ჯერ კლინიკური ორდინატორი, ხოლო შემდეგ მისი პირველი ასპირანტი ვიყავი. ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრაზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში (მაშინ ჩვენს უნივერსიტეტს ასე ერქვა).

კარგად მახსოვს მისი კოლეგიალური დამოკიდებულება ჩემს და ამარამტო ჩემს მიმართ: მომთხოვნი, შრომის მოყვარე, პასუხისმგებლიანი ითხოვდა იმას რისი ნიმუშიც და მაგალითიც თვითონ იყო. მისთვის არ არსებობდა – უქმე, დღესასწაული, დღე და ღამე. ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის, ეს მძიმე ტვირთი იყო მაშინ, მაგრამ მოგვიანებით მივხვდით, რომ ამის გარეშე ვერ გაიზრდებოდი როგორც კლინიცისტი.

პროფესორის რეკომენდაციით ჩავაბარე ასპირანტურაში. შემდგომში საკანდიდატო (მაშინ ორი დისერტაციის დაცვა იყო მიღებული-საკანდიდატო და შემდგომ სადოქტორო დისერტაცია) ნაშრომის დაცვაზე, ერთ-ერთი ოპონენტი ცნობილი მოსკოველი პროფესორი ნატალია ბელოკონი იყო. როგორც ოპონენტმა მეტად მოიწონა საკითხის მეცნიერული კვლევა და გამოთქვა სურვილი ჩამოსულიყო თბილისში, რათა პირადად ახლოს გაეცნო ჩემი მეცნიერული ხელმძღვანელები პროფესორი იოსებ კვაჭაძე და პროფესორი თამარ დეკანოსიძე. მოწმე ვიყავი თუ როგორი გულისყურით ისმენდა და იზიარებდა ნაშრომის ოპონენტი თემის ხელმძღვანელების მეცნიერულ მოსაზრებებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი კლინიკური შემოვლები და ლექციები. ეს იყო მაღალაკადემიური კლინიკური შემთხვევების შეფასება, მისი ხედვა დიფერენციალური დიაგნოზების თვალსაზრისით მოიცავდა მთელი პედიატრიული პრობლემების სპექტრს.

პროფ. ი.კვაჭაძე იყო თბილისის პედიატრიული საზოგადოების თავმჯდომარე. ამ საზოგადოების სხდომები ყოველთვიურად იმართებოდა პედიატრიის ინსტიტუტში. აღნიშნულ შეხვედრებზე ტარდებოდა ღრმა მეცნიერული დებატები პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე. სხდომებზე თავს იყრიდნენ ქართული პედიატრიის გამოჩენილი მოღვაწეები: პროფ ი. ფაღავა; პროფ.ა. კვეზერელი-კოპაძე; პროფ.მ გელოვანი; პროფ. ნ. ხერხეულიძე; პროფ.ფ შოთაძე; პროფ. გ ნიჟარაძე, პროფ: ე.გერი და სხვა ღირსეული წარმომადგენლები.

სწორედ აქ იჩენდა თავს პროფ. ი.კვაჭაძის ნოვატორული ხედვები,მისი მეცნიერულ დისკუსიაში მონაწილეობის ხელოვნება.

უნდა აღინიშნოს ი. კვაჭაძის არამარტო მაღალპროფესიული გულისხმიერება პაციენტის მიმართ, არამედ კოლეგების და სამეგობრო წრის მიმართაც. ამასთან დაკავშირებით ჩემთვის დაუვიწყარია მისი და მისი ოჯახის თანადგომა ჩემი პირადი ოჯახის ძნელბედობის ჟამს, როცა მან, როგორც მამაჩემის მეგობარმა და ჩემმა პედაგოგმა, ჩემთან ერთად ფეხით გაირა გზა სახლიდან მუდმივ განსასვენებლამდე.

პროფ. ი.კვაჭაძე გახლდათ ნათელი მაგალითი თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს პროფესიონალი საკუთარ ქვეყანას და იჩენდეს ზრუნვას მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე.

***ნუგზარ უბერი***
*თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის:*
*პროფესორი ემერიტური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.*

# გვიყვარხარ პატრიარქო!






ბრძანებულება



ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ბრძანება №06/1 2015 წ. 1 ივნისი

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნას

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის გამგეობა

1 ივნისი 2015 წ.
თბილისი



სამწუხაროა, რომ ქართულ სამედიცინო ბერმუხებს იმიერში შეუერთდა პროფესორი ბატონი ზურაბ კაციტაძე.პიროვნებამ, რომელმაც პირადად ჩემს სამედიცინო კარიერაში დიდი ღვაწლი შეიტანა, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდიდან. დაუვიწყარია მისი თანადგომა საზოგადოებრივ,თუ სამეცნიერო ასპარეზზე.

გავიხსენოთ ბატონ ზურაბის განვლილი გზა:

ზუტაბ კაციტაძე დაიბადა 1927 წლის 28 აგვისტოს ქ. თბილისი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტი 1949 წელს; საკავშირო დაუსწრებელი იურიდიული ინსტიტუტი (ვბზმ) 1951 წელს.

1949-1951წწ. იყო რუსთავის ბავშვთა პოლიკილინიკის ბავშვთა ექიმი; 1954-1956წწ. სსრკ ჯანდაცვის სამედიცინო სასამართლოს მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე; 1956-1961წწ. თბილისის მთავარ სასამართლო მედიცინის ექსპერტი; 1961-1963წწ. საქართველოს სანიტარიისა და ჰიგიენის კვლევითი ინსტიტუტის მორფოლოგიური განყოფილების გამგე; 1963 წელს იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნორმალური ანატომიის კათედრის ასისტენტი, 1964 წლიდან დოცენტი, 1970 წლიდან პროფესორი, 1972 წლიდან ამავე კათედრის გამგე. ავტორია 89 სამეცნიერო ნაშრომის, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მონოგრაფია, არის 4 სადოქტორო დისერტაციის მეცნიერული კონსულტანტი და 8 საკანდიდატო დისერტაციის ხელმძღვანელი. 1995 წლიდან არის გამომცემლობა „მედიცინის" დირექტორი და გაზეთ „ჯანმრთელობის" მთავარი რედაქტორი.

საკანდიდატო დისერტაციის თემა – „ტრასოლოგიური ექსპერტიზის მორფო-ფუნქციური საფუძვლები", დაიცვა 1954 წელს ქ. მოსკოვში; სადოქტორო დისერტაციის თემა – „ადამიანის ვერტიკალური სტატისტიკისა და დინამიკის მორფოლოგიური საფუძვლები ფილოგენეზსა და ანთროპოგენეზში", დაიცვა 1969 წელს მოსკოვის საკავშირო სამედიცინო აკადემიაში.

* საქართველოს ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა სამედიცინო საზოგადოება, პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე
* საქართველოს მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია, ნამდვილი წევრი
* 1999 – ღირსების ორდენი

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდ წვლილისათვის, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის

* 1990 – მედიცინის დამსახურებული მოღვაწე
* 1989 – საქართველოს სახელმწიფო პრემია

ღმერთმა გაანათლოს ბატონი ზურაბის სული

*რედაქცია*











**სამწუხაროა, რომ ქართულ პედიატრიას გამოაკლდა ექიმი-პედიატრი, მეცნიერი და პოლიტიკოსი ბატონი თამაზ ყურაშვილი. ბატონი თამაზი დაიბადა 1937 წელს.**

**მან დაამთავრა.**

1960-წლებში იყო მაღაროთ სამმართველოს სამედიცინო-სანიტარიული ნაწილის ექიმი, რაიონული საავადმყოფოს ექიმი-ორდინატორი, საქალაქო საავადმყოფოს ექიმი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტი, ლაბორანტი, 1967 წლიდან იყო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, განყოფილების ხელმძღვანელი. 1990-1991 წლებში იყო წევრი, ხელი აქვს მოწერილი (1991 წლის 9 აპრილი).

ღმერთმა გაანათლოს ბათონი თამაზ ყურაშვილის სული.

*რედაქცია*

# მალე SOON







მალე გამოიცემა დამატებითი სახელმძღვანელო სახელწოდებით „პედიატრიული კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები" (ტომები I-II). ავტორები: გ. ს. ჩახუნაშვილი, ნ. დ. ჯობავა, კ. გ. ჩახუნაშვილი, დ. გ. ჩახუნაშვილი. პირველი ტომი ეძღვნება კარდიოლოგიას, ხოლო მეორე ტომი – რევმატოლოგიას, რომელშიც მეორე თავი ეხება დაავადებებს.

პუბლიკაცია წარმოდგენილია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

გამომცემელი: საქართველო, თბილისი, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია, 2025. ტომი I: 1170 გვერდი ტომი II: 1235 გვერდი

A supplementary manual entitled „Fundamentals of Pediatric Cardio-Rheumatology" (Volumes I-II) will be published soon.Authors: G. S. Chakhunashvili, N. D. Jobava, K. G. Chakhunashvili, D. G. Chakhunashvili. Volume I is devoted to Cardiology, and Volume II to Rheumatology, in which Chapter II represents the specialized section.

The publication is presented in Georgian, English, and Russian.

Publisher: Georgia, Tbilisi, Georgian Association of Pediatric Cardiologists, 2025. Volume I: 1170 pages Volume II: 1235 pages

## საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
## GEORGIAN CHILDREN'S CARDIOLOGISTS ASSOCIATION

CAC

# SOS!

### დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული [ეკგ) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და თუ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 25 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და თუ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით:

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი.

საქართველოს კლინიკები

„სამედიცინო კორპორაცია ევექსი"

EVEX MEDICAL CORPORATION

## ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაციის აუცილებლობა

ადვილად დაღლა, საერთო სისუსტე, გულის არეში ჩხვლეტები ან ტკივილი, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება, ტაქიკარდია, არითმია, აუსკულტაციისას შუილები, ანგინებით, ბრონქიტებითა და ვირუსული ინფექციებით ხშირად მოავადე კონტიგენტი, ეკგ მონიტორინგით, ყველა სახის ართრალგია, მაღალი ანტისტრეპტოლიზინი, სინკოპე, ფიზიკურად დატვირთული ბავშვები (სპორტსმენები, მოცეკვავეები), უკვე დადგენილი სარქვლოვანი ნაკლოვანებების და პროლაფსების მონიტორინგი, კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაცია ტონზილექტომიის ჩატარებამდე.

ზემოთ აღნიშნული კონტიგენტისათვის ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის დინამიკაში დაკვირვების აუცილებლობა.

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
მოადგილე: თ. მიქელაძე,ნ. ჯობავა,გ. ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: – ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, დ. ჩახუნაშვილი,გ. ჩახუნაშვილი,კ. ჩახუნაშვილი,ვ. ცხომელიძე, ზ. შაქარაშვილი, ა. სარჯველაძე, ნ. თოთაძე, ივ. კუგოტი, ლ. ხუციძე,იგ. დოლიძე,ეკ. კვირკველია,მ. ივანიაძე,დ. ცხომელიძე, დ. ტაბუცაძე.

მისამართი:
ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 593 33 71 54
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება

ISSN 1987-9849